კომპოზიტების სტრუქტურული და სტილისტიკური თავისებურება მხატვრულ ტექსტში

მარიამ ჯირაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ სუხიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

წინამდებარე ნაშრომის ცალკეული ნაწილები დამუშავებულია აკადემიური წერის კურსის ფარგლებში.

მარიამ ჯირაშვილი /

25.06.2021.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, თამარ სუხიშვილს, ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია კომპოზიტთა სტრუქტურული და სტილისტიკური თავისებურებანი ლიტერატურულ ტექსტში. ძირითად წყაროდ აღებულია ქართული ისტორიული რომანის ორი ნიმუში: კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ და ლ. გოთუას „გმირთა ვარამი“ (ასევე, მიმოხილულია კომპოზიტთა წარმოების თავისებურებანი ლ. გოთუას მოთხრობებშიც).

ნაშრომში წარმოდგენილია კომპოზიტების არა მხოლოდ მორფოლოგიური, არამედ სტილისტიკური ანალიზიც, რაც საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ მწერლის ინდივიდუალური და ჟანრული სტილობრივი თავისებურებები. აღნიშნული კვლევა ამ კუთხითაც მნიშვნელოვანია და გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს.

კვლევის მიზანია, წარმოაჩინოს, თუ რა დანიშნულებითა და ფუნქციით გამოიყენება კომპოზიტები ლიტერატურულ ტექსტში და რა ნიშან-თვისებები ახასიათებს ამ ავტორების ტექსტებს კომპოზიტთა წარმოება-გამოყენების თვალსაზრისით: რა თავისებურებებით გამოირჩევა მწერლის მიერ შექმნილი კომპოზიტები (ოიკონიმები, ხელობის სახელები და სხვ.), დამკვიდრდა თუ არა ისინი ენაში და ა.შ.

ნაშრომში გამოყენებულია დესკრიფციული და შედარებითი ანალიზის მეთოდები, ასევე ინტერპრეტაციის მეთოდი.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ორივე მწერლის - კ. გამსახურდიასა და ლ. გოთუას შემოქმედება გამოირჩევა კომპოზიტთა სიუხვით. ასევე გამოითქვა ვარაუდი, რომ რიგ შემთხვევებში კომპოზიტების სტილისტიკური ფუნქცია შესაძლოა ჟანრულად (ისტორიული რომანის ჟანრი) იყოს განპირობებული. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სინონიმურ კომპოზიტთა ერთი ჯგუფი, რომელთა შემადგენელი კომპონენტებიდან ერთი არქაული ფორმითაა წარმოდგენილი, მეორე კი - ახალი ფორმით. ასეთი ტიპის კომპოზიტებს ორივე მწერალთან ვხვდებით. ვფიქრობთ, კომპოზიტთა წარმოების ეს ხერხი ტექსტის ჟანრობრივ (ისტორიული რომანი) მახასიათებლებს უკავშირდება.

წინამდებარე ნაშრომის ცალკეული ნაწილები დამუშავებულია აკადემიური წერის კურსის ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: **კომპოზიტი. კომპოზიტების წარმოება. კომპოზიტების სტილისტიკური ფუნქცია.**

Abstract

The present work examines the structural and stylistic features of composites in a literary text. The main source is two samples of Georgian historical novels: K. Gamsakhurdia's " Didostatis Marjvena" and L. Gotua's "Gmirta varami" (the peculiarities of composite production are also reviewed in L. Gotua's stories).

The work presents not only morphological but also stylistic analysis of composites, which allows us to determine the individual and genre stylistic features of the writer. This study is important in this regard as well and represents some novelty.

The aim of the research is to show the purpose and function of composites in a literary text and what features characterize the texts of these authors in terms of production-use of composites: what are the features of composites created by the writer (oiconimes,craft names and so on.), established? In language, etc.

The work uses methods of descriptive and comparative analysis, as well as the method of interpretation.

As a result of the research, it was found that both writers - K. Gamsakhurdia and L. Gotua's work is distinguished by the abundance of composites. It has also been suggested that in some cases the stylistic function of the composites may be genre-driven (historical novel genre). For example, we can cite one group of synonymous composites, one of the components of which is presented in an archaic form, and the other in a new form. We meet these types of composites with both writers. We think that this way of producing composites is related to the genre (historical novel) characteristics of the text.

Individual parts of the present paper are processed as part of the academic writing course.

Keywords: composite. Production of composites. Stylistic function of composites.